სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

KA080192489063623

№ 2776

10 / ოქტომბერი /
2023 წ.

ზოგიერთი ელექტრონული ტენდერის შეწყვეტის საჭიროების თაობაზე

2023 წლის 10 ოქტომბერს სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში დაფიქსირდა ტექნიკური ხარვეზები, რის გამოც NAT230019806, NAT230019774, NAT230019857, NAT230019754, NAT230019842, NAT230019755, NAT230019873, NAT230019752, NAT230019801, NAT230019479, NAT230019659, NAT230019664, NAT230019096, NAT230019788, NAT230018280, NAT230019115, NAT230019785, NAT230019509, NAT230019878, NAT230019665, NAT230019838, NAT230019694, NAT230018985, NAT230019511, NAT230019824, NAT230019861, NAT230019651 და NAT230019676 ელექტრონულ ტენდერებში პრეტენდენტებმა, შესაძლოა, ვერ მოახერხეს სატენდერო წინადადებების წარდგენა. ამავდროულად, ამავე დღეს ელექტრონულ ტენდერებს მიენიჭა ტენდერის სტატუსი „წინადადებების მიღება დასრულებულია“, შესაბამისად, საჯარო გახდა იმ მომენტში არსებული ყველაზე დაბალი წინადადების ფასის მქონე პრეტენდენტების ვინაობა და სატენდერო წინადადება, რის გამოც ვერ იქნება მიღებული გადაწყვეტილება ამ ელექტრონულ ტენდერებში სატენდერო წინადადებების მიღების დასრულების ვადის შესაბამისი პერიოდით გაგრძელების შესახებ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის № 12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-13 მუხლის პირველი, მე-4 და მე-5 პუნქტების შესაბამისად:

1. ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიამ (NAT230019806 და NAT230019774), ააიპ „მუნიციპალური სერვისების სააგენტომ“ (NAT230019857), ააიპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრმა“ (NAT230019754), სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტომ“ (NAT230019842) ფოთის მუნიციპალიტეტის მერიამ (NAT230019755), ააიპ „ბათუმის კულტურის ცენტრმა“ (NAT230019873), შპს „საქართველოს გაერთიანებულმა წყალმომარაგების კომპანიამ“ (NAT230019752), სსიპ „საქართველოს ეროვნულმა ბანკმა“ (NAT230019801), აჭარის არ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ (NAT230019479), სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიამ (NAT230019659), გორის მუნიციპალიტეტის მერიამ (NAT230019664, NAT230019665 და NAT230019676), ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის დიდუბის რაიონის გამგეობამ (NAT230019096), სსიპ „დაცვის პოლიციის დეპარტამენტმა“ (NAT230019788), შპს „საქაერონავიგაციამ“ (NAT230018280), ააიპ „ბათუმის ბოტანიკურმა ბაღმა“ (NAT230019115), სსიპ „საერთო სასამართლოების დეპარტამენტმა“ (NAT230019785), საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალმა სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებამ – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურმა (NAT230019509 და NAT230019511), ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიამ (NAT230019878), აჭარის არ განათლების, კულტურის და სპორტის სამინისტრომ (NAT230019838), ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიამ (NAT230019694), საჩხერის მუნიციპალიტეტის მერიამ (NAT230018985), ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიამ (NAT230019824), საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტმა (NAT230019861) და სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტომ“ (NAT230019651) დადგენილი წესით, შეწყვიტონ ზემოაღნიშნული ელექტრონული ტენდერები.

2. წინამდებარე განკარგულება დაუყოვნებლივ გამოქვეყნდეს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებგვერდზე www.procurement.gov.ge. ამასთან, მიღებული გადაწყვეტილების შესახებ ინფორმაცია აუყოვნებლივ ეცნობოთ სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში რეგისტრირებულ მომხმარებლებს სისტემური შეტყობინების მეშვეობით.

3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით

აღმაშენებლის ხეივანი №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე	ხელმოწერილია/ შტამპდასმულია ელექტრონულად	ლევან რაზმაძე